


საქართველოს ეკონომიკური კლიმატი

(II კვარტალი, 2023)

მომზადებულია PMC კვლევითი ცენტრის მიერ



„საქართველოს ეკონომიკური კლიმატი“ პიემსი კვლევითი ცენტრის (PMC RC) პროდუქტია.

ამ ბიულეტენში, რომელიც Ifo ინსტიტუტის მეთოდოლოგიას ეყრდნობა, განხილულია საქართველოს ეკონომიკური კლიმატი ქართველ ეკონომისტთა შეფასებით*.

აღნიშნული გამოცემისთვის კვლევა ჩატარდა 2023 წლის მაისში.

*იმ ეკონომისტების რაოდენობა, რომლებსაც ეგზავნებათ კვარტალური კითხვარი შეადგენს 60-ს.


2023 წლის მეორე კვარტალში ჩატარებული ქართველი ეკონომისტების გამოკითხვის **მთავარი მიგნებებია**:

- ❑ ქართველი ეკონომისტები **პოზიტიურად** აფასებენ საქართველოს მიმდინარე ეკონომიკურ მდგომარეობას.
- ❑ თუმცა მათი მოლოდინი საქართველოში მომდევნო ექვსი თვის ეკონომიკური მდგომარეობის მიმართ უარყოფითია.
- ❑ 2023 წლის რეალური მშპ-ს ზრდის პროგნოზი საშუალოდ 6.1%-ს შეადგენს.
- ❑ ეკონომისტები ვარაუდობენ, რომ ინფლაციის მაჩვენებელი შემცირდება.
- ❑ გამოკითხული ქართველი ეკონომისტები ვარაუდობენ, რომ ინფლაციის მაჩვენებელი 2023 წლისთვის, საშუალოდ, 5.1% იქნება.
- ❑ გამოკითხული ეკონომისტების 63% ფიქრობს, რომ რუსეთის ომი უკრაინაში, ისევე როგორც შრომის ბაზარზე არსებული პრობლემები, როგორცაა უნარების შეუსაბამობა და კვალიფიციური კადრების ნაკლებობა ამჟამად მაღალ ან ძალიან მაღალ საფრთხეს წარმოადგენს საქართველოს ეკონომიკისთვის.
- ❑ გამოკითხულ ეკონომისტთა დაახლოებით 90% 2023 წლის მეორე კვარტალში ლარის გამყარებაზე მაღალი ან ძალიან მაღალი გავლენის მქონე ფაქტორად მიგრანტების შემოდინებას ასახელებს.*
- ❑ რუსეთის მიერ უკრაინაში ომის დაწყებიდან ერთ წელზე მეტი დროის გასვლის შემდეგ, გამოკითხულთა თითქმის ნახევარი (47%) დარწმუნებით ვერ აფასებს ომის საერთო გავლენას საქართველოს ეკონომიკაზე.
- ❑ ეკონომისტების თითქმის 90% ეთანხმება საქართველოს ეროვნული ბანკის გადაწყვეტილებას (გამოცხადებულს 2023 წლის 10 მაისს) მონეტარული პოლიტიკის შერბილების და პოლიტიკის განაკვეთის 0.5 პროცენტული პუნქტით 11%-დან 10.5%-მდე შემცირების შესახებ.
- ❑ გამოკითხულთა ორი მესამედი (63%) ფიქრობს, რომ ბოლოდროინდელ არასტაბილურობას გლობალურ საბანკო სექტორში (აშშ-ის რეგიონული ბანკების - Silicon Valley Bank-ის, Signature Bank-ისა და First Republic-ის გაკოტრებას და Credit Suisse-ის შეძენას) მინიმალური გავლენა ექნება საქართველოს ეკონომიკაზე.

* მიუხედავად იმისა, რომ ბოლო კვირებში ლარი გარკვეულწილად გაუფასურდა აშშ დოლართან მიმართებით, 2022 წლის მეორე კვარტალთან შედარებით, ლარის გაცვლითი კურსი აშშ დოლართან მიმართებით გამყარებულია.



საქართველოს ეკონომიკური კლიმატი, II კვარტალი



ქართველი ეკონომისტების გამოკითხვის თანახმად, 2023 წლის მეორე კვარტალში ქართველი ეკონომისტები დადებითად აფასებენ საქართველოს მიმდინარე ეკონომიკურ მდგომარეობას. მათი შეფასება გაუმჯობესდა როგორც 2023 წლის პირველი კვარტლის შეფასებასთან, ასევე, 2022 წლის მეორე კვარტლის შეფასებასთან შედარებით.

გამოკითხული ეკონომისტების მოლოდინი საქართველოში მომდევნო ექვსი თვის ეკონომიკური მდგომარეობის მიმართ უარყოფითია. მოლოდინი ოდნავ გაუარესდა იმ ნეგატიურ პროგნოზთან შედარებით, რომელიც ეკონომისტებს მომდევნო ექვსი თვის მიმართ ჰქონდათ 2023 წლის პირველ კვარტალში და საგრძნობლად გაუარესდა 2022 წლის მეორე კვარტლის დადებით პროგნოზთან შედარებით.




გარდა არსებული ეკონომიკური მდგომარეობის შეფასებისა და მომდევნო ექვსი თვის მოლოდინის დაფიქსირებისა, გამოკითხულმა ექსპერტებმა გააკეთეს საქართველოს ძირითადი მაკროეკონომიკური ინდიკატორების პროგნოზი. გამოკითხვის შედეგების მიხედვით:

- ❑ რეალური მშპ-ს მოსალოდნელი ზრდის პროგნოზი 2023 წელს საშუალოდ 6.1%-ს შეადგენს. აღსანიშნავია, რომ წინა კვარტალში (2023 წლის პირველი კვარტალი) გაკეთებული შეფასებების მიხედვით, გამოკითხული ეკონომისტები 2023 წლისთვის მშპ-ს 5.5%-იან ზრდას ვარაუდობდნენ.
- ❑ მომდევნო 6 თვის განმავლობაში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, მოსალოდნელია ინფლაციის კლება. 2023 წლისთვის მოსალოდნელი ინფლაციის მაჩვენებელი საშუალოდ 5.1%-ია.
- ❑ მომდევნო 6 თვის განმავლობაში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, მოსალოდნელია ექსპორტის მოცულობის ზრდა; და
- ❑ მომდევნო 6 თვის განმავლობაში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, მოსალოდნელია იმპორტის მოცულობის ზრდა.



შეაფასეთ 1-დან (არ არის საფრთხე) 5-მდე (ძალიან მაღალი საფრთხე) რომელ საფრთხეებს მიიჩნევთ ამჟამად ყველაზე მწვავედ საქართველოს ეკონომიკისთვის




გამოკითხვის ფარგლებში ეკონომისტებმა ასევე შეაფასეს საქართველოს ეკონომიკისთვის ამჟამად არსებული ყველაზე მნიშვნელოვანი საფრთხეები.

- ❑ რუსეთის ომი უკრაინაში საქართველოს ეკონომიკისთვის ძალიან მაღალ საფრთხედ შეაფასა გამოკითხულთა 47%-მა და მაღალ საფრთხედ 16%-მა. საერთო ჯამში, ექსპერტთა 63% ომს მაღალ ან ძალიან მაღალ საფრთხედ მიიჩნევს.
- ❑ ანალოგიურად, გამოკითხულთა 63%-მა დაასახელა უნარების შეუსაბამობა და, ასევე, 63%-მა მუშახელის დეფიციტი, როგორც მაღალი ან ძალიან მაღალი საფრთხე.
- ❑ ცხოვრების ხარჯების ზრდით გამონჭვეული პრობლემა საქართველოს ეკონომიკისთვის მაღალ ან ძალიან მაღალ საფრთხედ გამოკითხულ ეკონომისტთა ნახევარზე მეტმა (58%) დაასახელა.
- ❑ გამოკითხული ეკონომისტების 42% გაცვლითი კურსის მერყეობას ზომიერ საფრთხედ მიიჩნევს.



შეაფასეთ 1-დან (საერთოდ არ აქვს გავლენა) და 5-მდე (ძალიან მაღალი გავლენა) რომელმა ფაქტორებმა გამოიწვია ქართული ეროვნული ვალუტის, ლარის, გამყარება 2023 წლის მეორე კვარტალში




ეროვნული ვალუტის თემაზე, ეკონომისტებმა ასევე შეაფასეს, რა ფაქტორებმა განაპირობა ლარის გამყარება 2023 წლის მეორე კვარტალში (მიუხედავად იმისა, რომ ბოლო დღეებში/კვირებში ლარი გარკვეულწილად გაუფასურდა აშშ დოლართან მიმართებით, 2022 წლის მეორე კვარტალთან შედარებით, ლარის გაცვლითი კურსი აშშ დოლართან მიმართებით გამყარებულია).

- ❑ გამოკითხულ ეკონომისტთა დაახლოებით 90%-მა 2023 წლის მეორე კვარტალში ლარის გამყარებაზე მაღალ ან ძალიან მაღალ ზემოქმედების ფაქტორად დაასახელა მიგრანტების შემოდინება.
- ❑ თითქმის 80%-მა ხაზი გაუსვა ფულადი გზავნილების შემოდინებას, როგორც ვალუტის გამყარების გამომწვევ მნიშვნელოვან ფაქტორს (42%-მა დაასახელა როგორც ძალიან მაღალი გავლენის მქონე, ხოლო 37%-მა მაღალი გავლენის მქონედ).
- ❑ გამოკითხულთა უმეტესობამ (74%) ასევე, აღნიშნა, რომ ტურისტების შემოდინებამ მაღალი ან ძალიან მაღალი გავლენა იქონია ეროვნული ვალუტის გამყარებაზე.
- ❑ ამავდროულად, ექსპორტისა და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინების ზრდა ექსპერტთა უმრავლესობამ (58% და 48% შესაბამისად) შეაფასა, როგორც დაბალი გავლენის მქონე ან საერთოდ გავლენის არმქონე ფაქტორებად.



რუსეთ-უკრაინის ომის დაწყებიდან 1 წელზე მეტი დროის გასვლის შემდეგ როგორ შეაფასებდით რუსეთ-უკრაინის ომის გავლენას საქართველოს ეკონომიკაზე?




რუსეთ-უკრაინის ომის დაწყებიდან ერთ წელზე მეტი დროის გასვლის შემდეგ, ეკონომისტებმა შეაფასეს ომის საერთო გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე. აღსანიშნავია, რომ 2022 წლის მეორე კვარტალში (როდესაც ომი ახალი დაწყებული იყო), საქართველოს ეკონომიკური კლიმატის ინდექსის ფარგლებში გამოკითხულმა ეკონომისტებმა უარყოფითად შეაფასეს როგორც არსებული, ასევე მომავალი ეკონომიკური კლიმატი საქართველოში, რაც ძირითადად აიხსნება მათი იმდროინდელი მოლოდინით, თუ რა გავლენას მოახდენდა ომი საქართველოზე.

- ❑ ეკონომისტთა თითქმის ნახევარი (47%) დარწმუნებით ვერ აფასებს უკრაინის ომის საერთო გავლენას საქართველოს ეკონომიკაზე.
- ❑ ამავდროულად, გამოკითხულ ეკონომისტთა 32% ომის საქართველოს ეკონომიკაზე გავლენას დადებითად აფასებს, 5% კი ძალიან დადებითად.
- ❑ 2023 წლის მეორე კვარტალში გამოკითხულ ეკონომისტთა მხოლოდ 11% აფასებს ომის გავლენას ნეგატიურად და არც ერთი მათგანი არ აფასებს ძალიან ნეგატიურად.



შეაფასეთ საქართველოს ეროვნული ბანკის გადაწყვეტილება (გამოცხადებული 2023 წლის 10 მაისს), რომელიც ეხება მონეტარული პოლიტიკის შერბილებასა და პოლიტიკის განაკვეთის 0.5%-იანი მაჩვენებლით, 11%-დან 10.5%-მდე, შემცირებას




გამოკითხულმა ექსპერტებმა, ასევე, შეაფასეს საქართველოს ეროვნული ბანკის გადაწყვეტილება (გამოცხადებული 2023 წლის 10 მაისს), მონეტარული პოლიტიკის შემსუბუქებისა და პოლიტიკის განაკვეთის 0.5 პროცენტული პუნქტით 11%-დან 10.5%-მდე შემცირების შესახებ. აღსანიშნავია, რომ ეროვნული ბანკი 2022 წლის მარტიდან ნელინადზე მეტი ხნის განმავლობაში უცვლელად ინარჩუნებდა განაკვეთს 11%-ზე.

- გამოკითხულთა უმრავლესობა (90%) სრულად ეთანხმება (37%) ან ეთანხმება (53%) ამ გადაწყვეტილებას.
- არცერთი მათგანი სრულად არ ეწინააღმდეგება სებ-ის გადაწყვეტილებას 2023 წლის მაისში მონეტარული პოლიტიკის ოდნავ შერბილების შესახებ.

* წყარო: <https://bit.ly/43fDxna>



აშშ-ს რეგიონული ბანკების - Silicon Valley Bank- ის, Signature Bank-ისა და First Republic-ის ბოლოდროინდელმა მარცხმა და გლობალურად მნიშვნელოვანი ბანკის Credit Suisse-ის შექცენამ გამოიწვია შოკური ტალღები გლობალურ ფინანსურ ბაზრებზე. თქვენ ელით რომ:



- აღნიშნულს შესაძლოა, ზომიერი გავლენა ჰქონდეს საქართველოს ეკონომიკაზე
- აღნიშნულს შესაძლოა, მინიმალური გავლენა ჰქონდეს საქართველოს ეკონომიკაზე
- აღნიშნულს არ ექნება გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე
- არ მაქვს მოსაზრება აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით

ქართველმა ეკონომისტებმა, ასევე, შეათასეს აშშ-ის რეგიონული ბანკების - Silicon Valley Bank-ის, Signature Bank-ის, First Republic-ის გაკოტრებისა და Credit Suisse-ის შესყიდვის შემდეგ გლობალურ ფინანსურ ბაზრებზე არსებული შოკური ტალღების გავლენა საქართველოზე.

- გამოკითხულთა ნახევარზე მეტი (63%) ფიქრობს, რომ საბანკო სექტორში ბოლოდროინდელმა არეულობამ შესაძლოა მხოლოდ **მინიმალური გავლენა** მოახდინოს საქართველოს ეკონომიკაზე.
- ზოგიერთი ეკონომისტი (16%) ფიქრობს, რომ აღნიშნულს შესაძლოა **გარკვეული გავლენა** ჰქონდეს საქართველოს ეკონომიკაზე, ხოლო 10% ფიქრობს, რომ ამ გლობალურ მოვლენას საერთოდ **არ ექნება** გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე.

* წყარო: IMF, April 2023. Global Financial Stability Report.



ძირითადი ეკონომიკური ინდიკატორები საქართველოში

	2019	2020	2021	2022	2023 Q1*
	17 470.7	15 842.9	18 629.4	24610.2*	-
მშპ ერთ სულ მოსახლეზე (აშშ დოლარი)	4 696.2	4 255.7	5 023.2	6671.9*	-
მშპ რეალური (%)	5.0%	-6.8%	10.5%	10.1%*	7.2%*
ინფლაცია (%)	4.9%	5.2%	9.6%	11.9%	7.6%
პირდაპირი უცხოური ინვესტიციები (მლნ დოლარი)	1 352.2	589.0	1 241.8	2 000.0*	496.6*
უმუშევრობის დონე (%)	17.6%	18.5%	20.6%	17.3%	18.0%
საგარეო ვალი (მლნ დოლარი)	5 741	7 535	8 205	8 435	-
სიღარიბის დონე (ფარდობითი)	19.5%	21.3%	17.5%	15.6%	-

* წინასწარი მონაცემები

ვებგვერდზე წარმოდგენილი პუბლიკაციები მომზადებულია PMC კვლევითი ცენტრის მიერ მხოლოდ საინფორმაციო და/ან მარკეტინგული მიზნებისთვის. პუბლიკაციებში ასახული ინფორმაცია წარმოადგენს მხოლოდ რჩევას და, შესაბამისად, მკითხველი თავად არის პასუხისმგებელი შინაარსის ნებისმიერ ინტერპრეტაციაზე. PMC კვლევითი ცენტრი არ იღებს პასუხისმგებლობას მკითხველის მიერ მასალების გამოყენების შედეგად წარმოშობილ პრეტენზიებზე. პუბლიკაცია წარმოდგენილია ისე, „როგორც არის“, ყოველგვარი გამოხატული ან ნაგულისხმევი რეპრეზენტაციისა და გარანტიის გარეშე.

გემოთ მოყვანილი აბზაცის ზოგად გზავნილთან წინააღმდეგობის გარეშე, PMC კვლევითი ცენტრი არ იძლევა გარანტიას, რომ:

- პუბლიკაცია მუდმივად ხელმისაწვდომი იქნება;
- რომ პუბლიკაციაში მოცემული ინფორმაცია არის სრული, ჭეშმარიტი, ზუსტი ან არ არის შეცდომაში შემყვანი.

PMC კვლევითი ცენტრი იტოვებს უფლებას, დროდადრო შეცვალოს პუბლიკაციების შინაარსი ისე, როგორც ამას მიზანშეწონილად ჩათვლის.

PMC კვლევითი ცენტრი თავიდან იხსნის სხვა მხარეების უფლებების დარღვევას ან PMC კვლევითი ცენტრის პუბლიკაციების გამოყენების შედეგად გამოწვეულ ნებისმიერ ზიანზე ყოველგვარ პასუხისმგებლობას. PMC კვლევით ცენტრს არ აქვს მკითხველის წინაშე პასუხისმგებლობის ვალდებულება (კონტრაქტის კანონით, დელიქტური კანონით თუ სხვაგვარად) პუბლიკაციის შინაარსთან, გამოყენებასა ან პუბლიკაციასთან კავშირის ნებისმიერ სხვა ფორმასთან დაკავშირებით.

მკითხველი აღიარებს, რომ როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის სუბიექტი, PMC კვლევითი ცენტრი დაინტერესებულია, შეზღუდოს თავისი ოფიცრებისა და თანამშრომლების პირადი პასუხისმგებლობა. მკითხველი თანხმდება, რომ მისთვის პუბლიკაციით გამოწვეული ნებისმიერ დანაკარგის შესახებ პრეტენზიებს არ წამოუყენებს პირადად PMC კვლევითი ცენტრის ოფიცრებს ან თანამშრომლებს.

მკითხველი თანხმდება, რომ გარანტიებისა და ვალდებულებების შეზღუდვები, რომლებიც მითითებულია ამ სამართლებრივ შეტყობინებაში, იცავს PMC კვლევითი ცენტრის მკვლევრებს, ოფიცრებს, თანამშრომლებს, აგენტებს, შვილობილ კომპანიებს, მემკვიდრეებს, უფლებამოსილ პირებს და ქვეკონტრაქტორებს, ისევე როგორც თავად PMC კვლევით ცენტრს.

გიორგი ხიშტოვანი

კვლევითი დირექტორი

g.khishtovani@pmcginternational.com

სოფო ბასილიძე

მკვლევარი

s.basilidze@pmcginternational.com

ანასტასია ჩხენკელი

უმცროსი მკვლევარი

a.chkhenkeli@pmcginternational.com

თამარ წიკლაური

სტაჟიორი

t.tsiklauri@pmcginternational.com

მის.: 61 აღმაშენებლის გამზირი, მე-3
სართული, თბილისი, 0102, საქართველო.
ტელ: (+995 32) 2921171, 2921181
ელ. ფოსტა: research@pmcginternational.com
ვებსაიტი: pmcresearch.org